

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
2100 ზუგდიდი, რუსთაველის
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL
OF ZUGDIDI
№90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

6 მარტი 2017 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N15

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მძიმე სოციალური პირობების მქონე ველოდი ქვარაიას ოჯახისთვის თანხის გამოყოფაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 თებერვლის N02/1034 (შემოსული 23.02.2015 წ N149/03) მომართვის შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მძიმე სოციალური (ხანძრის შედეგად გაუნადგურდა სახცოვრებელი სახლი) პირობების მქონე ველოდი ქვარაიას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 0104) გამოეყოს 1000 (ათასი) ლარი.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. N12.)



მ.ნანავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე